კოლეჯის ისტორია

ა(ა)იპ კოლეჯი ,,პრესტიჟი“ თელავის ,,დავით ციციშვილის სახელობის ხალხური რეწვის პროფესიული ლიცეუმის”, თელავის ,,სასოფლო-სამეურნეო პროფესიული სასწავლებლის” და თელავის ,,ტექნიკური კოლეჯის” საგანმანათლებლო ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელია, რომელიც აღნიშნული სასწავლებლებლების ბაზაზე დაფუძნდა 2007 წელს თელავის პროფესიულ კოლეჯად, 2011 წლიდან პროფესიული კოლეჯი ჩამოყალიბდა სსიპ პროფესიულ კოლეჯად - ,,პრესტიჟი”, 2012 წლიდან ატარებდა ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის ,,პრესტიჟი” სტატუსს, ხოლო 2019 წლიდან - ა(ა)იპ კოლეჯის ,,პრესტიჟი“ სახელს.

კოლეჯი წარმოადგენს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს, დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. ხელმძღვანელობს: საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით, საქართველოს კანონებით ,,პროფესიული განათლების შესახებ“, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის”, სხვა ნორმატიული აქტებით და საკუთარი წესდებით.

ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“, თავისი ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, კონკურენტუნარიანია კახეთში და აქვს განვითარების დიდი პოტენციალი.

კოლეჯი, ძირითადად, ორიენტირებულია თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფაზე, პიროვნების პროფესიულ განვითარებასა და ,,მთელი სიცოცხლის მანძილზე” განათლების მიღების ხელშეწყობაზე. შესაბამისად, კოლეჯი უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური, შრომის ბაზარზე მოთხოვნადი კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას.

ა(ა)იპ კოლეჯი ,,პრესტიჟი” ზრუნავს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლების პირობების შექმნაზე. ხელს უწყობს თანამედროვე ცოდნისა და მეთოდების გავრცელებას, განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობას, საერთაშორისო თანამშრომლობას და უცხოეთის შესაბამისი საგანმანათლებლო პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელ-ინსტრუქტორთა ურთიერთგაცვლას.

კოლეჯს მრავალწლიანი ურთიერთობა აქვს უცხოელ პარტნიორებთან: გერმანიის რესპუბლიკის ქალაქ ბიბერახის თვითმმართველობა და პროფესიული კოლეჯი ,,KARL ARNOLD SCHULLE; ლიეტუას რესპუბლიკის ქალაქ იონავას პროფესიული სკოლა; ლატვიის რესპუბლიკის ქალაქ ტალსის თვითმმართველობა; ყაზახეთის ქალაქ მაგნისტაუს „ტურიზმის კოლეჯი“; პოლონეთის ქალაქ იასტრებიე-ზდრუი ვოჟიჩა კონფანტეგოს სახელობის ნომერ მეორე სასკოლო კომპლექსი; HEKS/EPER-ის (შვეიცარიის რესპუბლიკის) სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ოფისის პროექტი ,,MOLI კახეთში“; GIZ - გერმანიის საერთაშორისო საზოგადოება; UNDP - გაეროს განვითარების პროგრამა.